585
1966/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

585/3

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

43

№ 1 (300)

1966 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 1 (300) იანვარი 1966 წელი

10.147

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოხუმის რაიონის შექმნის შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
4. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1965 წლის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შედეგების შესახებ.

განყოფილება მეორე

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ს. ჭეიშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. დ. მამაცაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ა. კ. ანდრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ შ. ნ. აფხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ი. ბიუსის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. გ. დონაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ჯ. შერვაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 სოხუმის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება გულრიფშის რაიონიდან ახალშენის, ბესლეთის, გუმისთის, ვერხნი ეშერის, კელასურის, ოდიშის, ფსხუს, თავისუფლების, შრომისა და ეშერის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გამოყოფისა და მათგან სოხუმის რაიონის შექმნის შესახებ ცენტრით ქ. სოხუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 12 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონში შემდეგი ცვლილებები:

ა) ამოღებულ იქნეს 58-ე მუხლიდან „ვ“ და „ზ“ პუნქტები;

ბ) ამოღებულ იქნეს 63-ე მუხლიდან სიტყვები: „შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიების წინაშე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 26 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ. № 18, მუხ. 180).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 26 იანვარი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

1. საბჭოთა სასამართლოს დაკისრებული აქვს საპასუხისმგებლო ამოცანები — განახორციელოს მართლმსაჯულება, განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება, აღზარდოს მოქალაქეები სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

ხალხის მიერ არჩეული საბჭოთა მოსამართლე უნდა აფასებდეს ხალხის ნდობას და იყოს სამშობლოს პატიოსანი სამსახურის, საბჭოთა კანონების მკაცრად დაცვის, მორალური სიწმინდისა და უმწიკვლო ყოფაქცევის მაგალითი, რათა ჰქონდეს მორალური უფლება გაასამართლოს და აღზარდოს სხვები.

მოსამართლეთა სამსახურებრივი დაუდევრობა და უღირსი საქციელი არყევს სასამართლოს ავტორიტეტს, ზიანს აყენებს მართლმსაჯულების საქმეს, სახელმწიფოს ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს და ამიტომ უნდა იწვევდეს მკაცრ პასუხისმგებლობას.

2. სახალხო მოსამართლეები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები, ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა თავმჯდომარეები, თავმჯდომარეთა მოადგილეები და წევრები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები შეიძლება მიცემულ იქნენ დისციპლინურ პასუხისგებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შრომის და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის;

ბ) მოსამართლის დაუდევრობით ან უდისციპლინობით სასამართლოს მეურნეობაში დაშვებული დარღვევებისათვის;

გ) საბჭოთა მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის.

3. საქმეებს მოსამართლეთა მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ განიხილავენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები.

4. ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები განიხილავენ საქმეებს ამ სასამართლოთა წევრების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების, სახალხო მოსამართლეების დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი განიხილავს საქმეებს ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარეთა მოადგილეების, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების, აგრეთვე საქართველოს სსრ სასამართლოთა ყველა სხვა მოსამართლის დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ.

5. დისციპლინური საქმეების აღძვრის უფლება აქვთ:

ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეებს ამ სასამართლოთა წევრების, რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეების მიმართ;

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს სსრ სასამართლოთა ყველა მოსამართლის მიმართ.

6. ამ დებულების მეხუთე პუნქტში აღნიშნული პირები ამოწმებენ დისციპლინური გადაცდომის გარემოებებს, გამოითხოვენ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის წერილობით ახსნა-განმარტებას და ამ მასალათა საფუძველზე გამოაქვთ დადგენილება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ.

7. მოსამართლეს შეიძლება დაედოს დისციპლინური სასჯელი არა უგვიანეს ერთი თვისა გადაცდომის ჩადენის ფაქტის დადგენის დღიდან.

8. დისციპლინური საქმე განიხილება პრეზიდიუმის ღია სხდომაზე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის თანდასწრებით. დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ გამოიტანება სპეციალური დადგენილება.

9. პრეზიდიუმს შეუძლია დაადოს შემდეგი დისციპლინური სასჯელი:

ა) შენიშვნა,

ბ) საყვედური,

გ) მკაცრი საყვედური.

თუ საქმის განხილვის შედეგად პრეზიდიუმი არ დაინახავს საფუძველს დისციპლინური სასჯელის დადებისათვის, იგი შეწყვეტს დისციპლინურ საქმეს.

10. თუ პრეზიდიუმი ცნობს, რომ მოსამართლე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, იგი კანონით დადგენილი წესით სვამს საკითხს დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე გაწვევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მოსამართლის მოქმედებაში არის დანაშაულის ნიშნები, პრეზიდიუმი აყენებს საკითხს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე გაწვევის ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საკითხის დასმას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი ატყობინებს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

11. პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინურ საქმეზე გამოიტანება დისციპლინური საქმის განხილვაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

12. პრეზიდიუმის დადგენილებაში დისციპლინურ საქმეზე უნდა აღინიშნოს: საქმის განხილვის თარიღი, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა, ვის მიერ არის აღძრული საქმე, დისციპლინური გადაცდომის გარემოებანი, პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება, დისციპლინური სასჯელის ზომა ან საქმის შეწყვეტის მოტივები.

13. დისციპლინურ საქმეზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების პირი სამი დღის ვადაში ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

დისციპლინურ საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების პირი ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს და სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს.

14. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინურ საქმეზე შეიძლება გადაისინჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის საჩივრით, აგრეთვე სათანადო სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების წარდგინებით.

წარდგინება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს ამ სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ორი კვირის ვადაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინურ საქმეზე საბოლოოა.

15. დისციპლინური სასჯელი ჩაითვლება მოხსნილად, თუ მისი დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს სხვა სასჯელი არ დაედება.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების წარდგინებით, დისციპლინური სასჯელის დამდებ პრეზიდიუმს შეუძლია ვადამდე მოხსნას სასჯელი, თუ მოსამართლემ დაამტკიცა თავისი გამოსწორება უმწიკვლო ყოფაქცევითა და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1965 წლის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რის შედეგადაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

საბჭოების აღმასკომები ახლა უფრო კონკრეტულად სწავლობენ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, კეთილმოწყობის, მშენებლობისა და სხვა აქტუალურ საკითხებს, იხილავენ სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე და ატარებენ ღონისძიებებს მათი შესრულებისათვის.

მნიშვნელოვნად ამაღლდა სესიების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. სესიები ძირითადად ტარდება კონსტიტუციით დადგენილ ვადებში.

სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

აღმასკომები სისტემატურად ამოწმებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და სესიებზე საქმის კურსში აყენებენ დეპუტატებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გაუმჯობესდა დეპუტატებისა და საბჭოების აღმასკომების მიერ ანგარიშის ჩაბარების საქმე. გასულ წელს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების 47.362 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 44.384 დეპუტატმა ანუ 93,7 პროცენტმა, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტების 97,7 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა შესაბამისი საბჭოების სესიებს. დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარებისა და ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების საქმე კარგად არის დაყენებული გორის, მცხეთის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, წულუკიძის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები და დეპუტატები საჭირო ყურადღებას უთმობენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების თაოსნობით და ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით ბევრი რამ გაკეთდა ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიათა მუშაობა. ისინი უფრო მეტ ინიციატივას იჩენენ სესიებსა და აღმასკომთა სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, გამოდიან მოხსენებებითა და თანამოხსენებებით, შეაქვთ საქმიანი წინადადებები და პერიოდულად ანგარიშს აბარებენ შესაბამისი საბჭოების სესიებს. 1965 წელს ადგილობრივი საბჭოების 6.161 მუდმივი კომისიიდან სესიებს ანგარიში ჩააბარა 3.322. მათ სესიებისა და აღმასკომთა სხდომებისათვის მოამზადეს 17.988 საკითხი. მუდმივი კომისიების მუშაობაში ჩაბმულია 42.610 აქტივისტი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ მათ საქმიანობაში.

შესამჩნევად გაუმჯობესდა საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, მახარაძის, ხაშურისა და ცხაკაიას რაიონებში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები თავიანთ მუშაობაში ფართოდ იყენებენ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების 68,5 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას.

რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან საბჭოების საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების გასაფართოებლად, რასაც მოითხოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები და პარტიის პროგრამა. ამის შედეგად გაიზარდა მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობის საქმეში.

რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია 132 შტატგარეშე განყოფილება, სადაც გაერთიანებულია 734 აქტივისტი. გარდა ამისა აღმასკომების განყოფილებების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს 4.494 შტატგარეშე ინსტრუქტორი და ინსპექტორი.

ამასთან ერთად პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებას.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ყურადღებით არ ეკიდება ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს, სუსტია დეპუტატების კავშირი ამომრჩევლებთან; დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი სათანადოდ არ არიან მობილიზებული საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად; ზოგჯერ ადგილი აქვს კონსტიტუციური ნორმების, დემოკრატიზმის პრინციპებისა და სესიების მოწვევის ვადების დარღვევებს.

ზოგი აღმასკომი ჯერ კიდევ სათანადოდ არ იბრძვის ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

საანგარიშო პერიოდში სესიების მოწვევის ვადები დაარღვიეს ცხინვალის საქალაქო, საგარეჯოს, ქარელის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1.066 აღმასკომიდან შესაბამისი საბჭოებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 24 აღმასკომს. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ონის რაიონში, სადაც 16 სასოფლო საბჭოდან მხოლოდ ორმა აღმასკომმა ჩააბარა ანგარიში საბჭოს. ასევე არ ჩაუბარებიათ ანგარიში თბილისის ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომს, ცხინვალის საქალაქო, წალკის სადაბო და ზესტაფონის, გარდაბნის, თეთრიწყაროს რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომებს.

იმის გამო, რომ ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი საჭირო დახმარებას არ უწევს დეპუტატებს მათი მოვალეობის შესრულებაში, დეპუტატების გარკვეული ნაწილი იშვიათად ხვდება თავის ამომრჩევლებს და არ აბარებს მათ ანგარიშს.

გასულ წელს ადგილობრივი საბჭოს 47.362 დეპუტატიდან ანგარიში არ ჩაუბარებია 2.978 დეპუტატს ანუ 6,2 პროცენტს. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ონის რაიონულ საბჭოში, სადაც 75 დეპუტატიდან ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 64 დეპუტატს, ხოლო სასოფლო საბჭოს 401 დეპუტატიდან — 75; გარდაბნის რაიონში ადგილობრივი საბჭოს 1.160 დეპუტატიდან ანგარიში არ ჩაუბარებია 237, მარნეულის რაიონში 961 დეპუტატიდან — 145, თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების 1.966 დეპუტატიდან — 519 დეპუტატს.

დაბალია დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების პროცენტი აჭარის ასს რესპუბლიკაში, საგარეჯოს, ქარელის, ბოლნისისა და ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომმა დაარღვია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების შესახებ; 238 გასული დეპუტატის ნაცვლად სათანადო საარჩევნო ოლქებში ახალი დეპუტატების არჩევნები ჩატარდა მხოლოდ 122 საარჩევნო ოლქში. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აჭარის ასსრ, მარნეულის, წითელწყაროს, ახმეტის, ხაშურისა და თეთრიწყაროს რაიონების ადგილობრივ საბჭოებში.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა აღმასკომების თავმჯდომარეებად, მოადგილეებად და მდივნებად არადეპუტატებს ირჩევენ. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივ საბჭოებში აღმასკომის თავმჯდომარეებად, მოადგილეებად და მდივნებად არჩეულ იქნა 34 არადეპუტატი.

ნაკლოვანებებია აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისიის მუშაობაში. მარნეულის რაიონული საბჭოს 11 მუდმივი კომისიიდან აღმასკომის სხდომასა და სესიაზე საკითხი არ შეუტანია 7 კომისიას, რუსთავის საქალაქო საბჭოს 11 მუდმივი კომისიიდან — 4, ბათუმის საქალაქო საბჭოს 9

მუდმივი კომისიიდან — 4, ხოლო ცხინვალის საქალაქო, ონისა და საჩხერის რაიონულ საბჭოებში არც ერთ მუდმივ კომისიას ანგარიში არ ჩაუბარებია სესიებისათვის. ანალოგიური მდგომარეობაა ყვარლის, წითელწყაროს, ზუგდიდის, წყუსა და საგარეჯოს რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არსებული ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რიგი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ უთმობენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის და უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რისთვისაც:

ა) უზრუნველყონ საბჭოების აღმასკომების მუშაობის სწორი ორგანიზაცია და მიაღწიონ იმას, რომ მათი უშუალო და ყოველდღიური ხელმძღვანელობით ხორციელდებოდეს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი კულტურულ-სამეურნეო მშენებლობისა და მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში;

ბ) მტკიცედ დაიცვან საბჭოების სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადები, სისტემატურად განიხილონ სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები. საკითხების მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები და მუდმივი კომისიები. სათანადო ზომები მიიღონ სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველსაყოფად. სისტემატურად გააცნონ მოსახლეობას დეპუტატების საშუალებით საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებები, დარაზმონ დეპუტატები და მოსახლეობა ამ გადაწყვეტილებების შესასრულებლად;

გ) უზრუნველყონ აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ანგარიშის ჩაბარება თავიანთი მუშაობის შესახებ საბჭოებისა და მოსახლეობისათვის, დააწესონ, რომ ყოველ სესიაზე აღმასკომი ინფორმაციას უკეთებდეს დეპუტატებს წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და დეპუტატთა მიერ შეტანილი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) მტკიცედ დაიცვან კონსტიტუციის მოთხოვნა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების შესახებ. დროულად მიაწოდონ დეპუტატებს საცნობარო მასალა საბჭოების მუშაობის შესახებ და სხვა საჭირო დახმარება გაუწიონ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებაში. გულისხმიერად მოეკიდონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებების შესწავლას და მიიღონ ზომები მათ შესასრულებლად;

ე) გააუმჯობესონ მუდმივი კომისიების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოების პრაქტი-

კულ საქმიანობაში, სისტემატურად შეჰქონდეთ საკითხები განსახილველად სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე და თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებდნენ შესაბამის საბჭოებს;

ვ) მტკიცედ დაიცვან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ და არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებად იმ პირების არჩევა, რომლებიც მოცემული საბჭოს დეპუტატები არ არიან;

ზ) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება ქვემდგომი საბჭოებისადმი. ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად მოიწვიონ აღმასკომის თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირ-სემინარები და მიაღწიონ მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. პ. ბაღათურია) გააძლიეროს პრაქტიკული დახმარება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისათვის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგის ამხ. მ. პ. ბაღათურიას შოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1965 წლის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საჭირო ღონისძიებების გასატარებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 26 იანვარი.

ბანყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 პროფესორ ა. ს. ჭეიშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს პროფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სორ აპოლინარ სიმონის ძე **ჭეიშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1966 წლის 12 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება:

1. სოლომონ გიორგის ძე **იაშვილს** — გუნდის დირიჟორს.
2. ვასილ სამსონის ძე **კობახიძეს** — გუნდის დირიჟორს.
3. სიმონ ბათლომეს ძე **კუხიანიძეს** — გუნდის დირიჟორს.
4. დავით ანტონის ძე **უშვერიძეს** — ქორეოგრაფს.
5. გრიგოლ ისაკის ძე **ჩივაძეს** — ქორეოგრაფს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 ამხ. ნ. დ. მამაცაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხორმაისტერს ამხ. ნიკოლოზ დავითის ძე **მამაცაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 კომპოზიტორ ა. კ. ანდრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი აკაკი კირილეს ძე **ანდრიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 მწერალ შ. ნ. აფხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი შალვა ნიკოლოზის ძე **აფხაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 ამხ. ე. ი. ბიუსის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ამხ. ევგენი ივანეს ძე **ბიუსი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 პროფესორ ვ. გ. დონაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ვლადიმერ გრიგოლის ძე **დონაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 მწერალ ა. ჯ. შერვაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ამირან ჯემილის ძე **შერვაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 იანვარი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 435 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან 70
ქ. ქუთაისიდან 10
ქ. ჭიათურიდან 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის	რაიონიდან	40
ახმეტის	„	8
ბორჯომის	„	7
გარდაბნის	„	86
გორის	„	15
დმანისის	„	18
ზუგდიდის	„	23
თელავის	„	5
თიანეთის	„	3
კასპის	„	13
ლანჩხუთის	„	2
მარნეულის	„	46
მესტიის	„	5
საჩხერის	„	16
ყაზბეგის	„	2
ყვარლის	„	14
ცხაკაიას	„	5
წალენჯიხის	„	7
წალკის	„	13
ხაშურის	„	7
ხობის	„	10